„დინამო“—„ლინფილდი“: სიხარული, სინანული, სიხარული...

თბილისის „დინამო“ კვლავ აღადგინეს თავის უფლებებში

„თბილისი“. 1993 წლის 18 აგვისტო. „დინამო“ — „ლინფილდი“. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

12 - 15 აპრილი. 1994 წ.
№ 10 (10878) ● ფასი 8 000 კუპონი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელო“

60

წლისაა!

„ლელოს“ ძ ნომრის გამოცემაში რედაქციას შეეწია საქმრეწკომბინატი **„ქახეთი“** (გენერალური დირექტორი **ნუგზარ რობიტაშვილი**).

უეფას აღმასკომის სხდომაზე ბარსელონაში განიხილეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შუამდგომლობა საქართველოს ჩემპიონის თბილისის „დინამოსთვის“ ევროტურნირებში დისკვალიფიკაციის მოხსნის თაობაზე. ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელობამ შესაძლებლად მიიჩნია ჩვენი გუნდის თავის უფლებებში აღდგენა და თბილისში გამოგზავნა ასეთი შინაარსის ოფიციალური ფაქსი:

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. 1994 წლის 5 აპრილი.

ასლი: თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს.
თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის შესახებ
ძვირფასო ბატონებო!

ჩვენ ვუბრუნდებით თქვენი ფედერაციის თხოვნას, რომლითაც მიმართეთ უეფა-ს აღმასკომს, რათა განხილ ულიყო თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის მიმართ იმ სანქციების პატიება, რომლებიც გამოტანილი იყო 1993 წლის 18 აგვისტოს თქვენი კლუბისა და ს. კ. „ლინფილდთან“ შეხვედრაზე მომხდარი ამბის შეზდეგ.

უეფა-ს აღმასკომმა, რომელიც 1994 წლის 30 მარტს შედგა ბარსელონაში, განიხილა ეს საკითხი და მხედველობაში მიიღო არგუმენტები, რომელიც წარადგინეს თქვენმა ფედერაციამ და კლუბმა. ამჟამად პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ თქვენი აპელაცია პატიების შესახებ მიღებული იქნა აღმასკომის მიერ, როგორც იშვიათი გამონაკლისი. ამასთან გათვალისწინებული იქნა ის გარემოებები და პრობლემები, რომლებიც დგას ფეხბურთის წინაშე საქართველოში.

უეფა-ს აღმასკომის დადგენილებით თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს ამიერიდან მოეხსნა ევროტურნირებში მონაწილეობის დისკვალიფიკაცია და მას ნება მიეცემა შეიტანოს განაცხადი 1994-95 წლების უეფა-ს საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთ თქმული.

უეფას ბენერალური მდივნის მაგიერ
რენე ებერლე.

სადისციპლინო განყოფილების უფროსი“

საქაართველოს სპორტულ სამყაროში

რაც მოხდა, რაც ხდება, რაც მოხდება

სპორტის დეპარტამენტში

სპორტული საზოგადოებების, უწყებებისა და სპორტული ფედერაციების მონაწილეობით გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს საქართველოს სპორტული მოძრაობისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. დეპარტამენტის თავმჯდომარემ კ. ასათიანმა შეკრებილთ აუწყა უცხოეთის ქვეყნებში მისი ვიზიტების მნიშვნელობის შესახებ. ასეთი ვიზიტები, — თქვა მან, აჩქარებს ჩვენს ინტეგრაციას მსოფლიო სპორტულ სამყაროში, ისახება ურთიერთობები, კრედიტების მიღების გზების ძიება კი დაგვეხმარება შევინარჩუნოთ ეროვნული სპორტის ავტორიტეტი.

თათბირზე კვლავ დაუბრუნდნენ სპორტულ ფედერაციებსა და დეპარტამენტს შორის ხელშეკრულების სრულყოფას, სერიოზული მსჯელობა გაიმართა სამშობლოდან ჩვენი სპორტსმენების გადინებასთან დაკავშირებით. კ. ასათიანმა კიდევ ერთხელ კატეგორიულად შოითხოვა, რომ უნდა დაჩქარდეს საყოველთაო საკლუბო სისტემაზე გადასვლა, რაც არა მხოლოდ ამ პროცესს შეაჩერებს, არამედ, შესაძლებლობას მოგვცემს ორგანიზაციულად უფრო სრულყოთ სპორტული მუშაობა რესპუბლიკაში.

სპორტის სამმართველოს უფროსმა ა. აბესაძემ ისაუბრა კეთილი ნების მესამე თამაშებისათვის ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების მზადების შესახებ; ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტმა ო. ღონღლაძემ შეკრებილთ გააცნო მხატვრულ ტანვარჯიშში საერთაშორისო შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლების შედეგები, სპორტის ამ სახეობაში თავჩენილი პრობლემები; კალათბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტმა ო. ხომერიკმა კი კალათბურთში ქვეყნის ვაჟთა ჩემპიონატის ორი წრისა და ქალთა ჩემპიონატის შედეგები გააანალიზა.

თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა ბომბავალი ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების საკითხი. ითქვა, რომ თამაშებში მონაწილეობის პოტენციურ კანდიდატებს ყოველგვარი პირობები უნდა შეუქმნან, რაც მთავარია, აუცილებლად უნდა გამოინახოს სახსრები სხვადასხვა შეჯიბრებაში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

თათბირს უძღვებოდა კ. ასათიანი.

სამარანჩი 20 აპრილს გვეწვევა

ამის თაობაზე უკვე მიღებულია შეტყობინება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. სოკის პრეზიდენტი თბილისიდან მეორე დღეს გაემგზავრება. პროგრამაშია შეხვედრები სუჯ-ის ხელმძღვანელობასთან, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებთან და პრიზიორებთან, სპორტის მუშაკებთან, სახელმწიფოს მეთაურთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

დინჯად, ორგანიზებულად

ჰადრაკის ფედერაციამ კარგი მაგალითი გვიჩვენა — როგორ უნდა მომზადდეს და ჩატარდეს სპორტული ფედერაციის არჩევნები დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ის გაუგებრობა კი, რამაც ყრილობაზე ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გაანაწყენა, ვფიქრობთ, მოგვარდება და კონფლიქტის საბაბად არ იქცევა.

ყრილობამ საქართველოს ჰადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია ვაჟა შუბლაძე, რომელიც მანამდე ფედერაციაში პირველი ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

იხ. მე 2 ვე

ძმებს არველაძეებს ბათუმში ვიხილავთ

როგორც შევიტყვეთ, 5-6 ივნისს ბათუმში გაიმართება საინტერესო საერთაშორისო ოთხთა მინი-ტურნირი ფეხბურთში. მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „დინამო“, თურქეთის „ტრაბზონსპორი“ (ძმები არველაძეების კლუბი), მოსკოვის გუნდები „სპარტაკი“ და „დინამო“.

ულოცავენ

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 65 და სპორტული მოღვაწეობის 50 წლისთავს ულოცავს სახელგანთქმულ ქართველ ფალავანს და სასიქადულო მამულიშვილს **ბივი კარტოზიას.**

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 55 წლისთავს ულოცავს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში **ბურამ სალარაძეს.**

ვულოცავთ

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს **როლანდ ხომერიკს.**

ცეცხლსასროლი სპორტული იარაღი კანონში

საქართველოს პარლამენტმა ამას წინათ, როგორც იქნა, მიიღო კანონი „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“. როგორ აისახა კანონში სპორტული ცეცხლსასროლი იარაღი, საწვრთნელი თუ საშჯიბრო სპორტული ობიექტები?

კანონის პირველ თავში (მუხლი 1) ვკითხულობთ: „... კანონი ადგენს შემდეგ სახეობათა და დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღის (შემდგომში იარაღის) სამართლებრივ რეჟიმს:

1. სამხედრო-საბრძოლო იარაღი; 2. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი; 3. სანადირო იარაღი; 4. სასპორტო იარაღი; 5. ჯილდოდ მიღებული იარაღი; 6. საკოლექციო იარაღი“.

„იარაღის დაწზადებას, იარაღის ვაჭრობას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, ტარებასა და გამოყენებას კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, რომლის გამგებლობას ეკუთვნება:

1. სამხედრო-საბრძოლო, სამსახურებრივ-საშტატო, სასპორტო და სანადირო იარაღის დამზადების ნებართვის გაცემა...“ (მუხლი 13).

„იარაღის კონტროლის დარგში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება: „... 3. ტირების, სასროლეთების, სასროლი სანადირო სტენდების, იარაღის შემკეთებელი და აღმდგენი სახელოსნოების გახსნის ნებართვის გაცემა...“ (მუხლი 14).

კანონში ცალკე თავი აქვს დათმობილი სასპორტო იარაღს, რომელსაც სრულად გთავაზობთ.

თავი VI
სასპორტო იარაღი

მუხლი 33. **სასპორტო იარაღის ცნება**

სასპორტოა იარაღი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნული სპორტული ფედერაციების სტანდარტებს და განკუთვნილია სპორტსმენების მოსამზადებლად, მათ მიერ საკვალიფიკაციო ნორმატივების შესასრულებლად და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის.

მუხლი 34. სასპორტო იარაღის წარმოება, გამოყენება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა.

სასპორტო იარაღის წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

სასპორტო იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით სპეციალურად მოწყობილი სპორტული ობიექტების ტერიტორიაზე.

რაც მოხდა, რაც ხდება, რაც მოხდება

(დასასრული)

ქართული ჭიდაობა — უველგან

საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა და ქართული ჭიდაობის ფედერაციამ წერილები დაუგზავნეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს თხოვნით, დახმარება აღმოუჩინონ სპორტის ხელმძღვანელებს საქართველოს რაიონებსა და სოფლებში ქართულ ჭიდაობაში მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად ყოველ შაბათ-კვირას. შეჯიბრებები მაისიდან გვიან შემოდგომამდე გაგრძელდება.

ჯერჯერობით 26 კანდიდატი და სპორტის 14 სახეობა

რამდენი სპორტსმენი გამოვა ჩვენი ქვეყნიდან ატლანტაში ოლიმპიურ თამაშებზე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნაადრევია, მაგრამ დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თამაშებისთვის ემზადება 26 კანდიდატი სპორტის 14 სახეობაში. ესენი არიან: გ. კანდელაკი, ზ. სარსანია, კ. გოგოლაძე (კრივი), ნ. სალუქვაძე, დ. ავეტისიანი (ტყვიის სროლა), თ. იმნაიშვილი, მ. გუბიევა (სასტენდო სროლა), ხ. ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა), მ. ყურაშვილი (მძლეოსნობა), ლ. გელაშვილი, ნ. ლუარსაბიშვილი (ჩოგბურთი), თ. თედორაძე, გ. პაპაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ე. კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), კ. კახიაშვილი, ბ. მიქიაშვილი, ი. კობზევი (ძალოსნობა), გ. ვაზაგაშვილი, დ. ხახალეიშვილი, ი. ლიპარტელიანი, გ. რევაზიშვილი, ა. დავითაშვილი (ძიუდო), ი. გიორგაძე (სპორტული ტანვარჯიში), ე. აბრამია (მხატვრული ტანვარჯიში), გ. ბიგანიშვილი (აფროსნობა).

ახლოს ხალხთან და... საქმესთან

ბევრი უწყება მოსწყდა თავის საქმეს, მიზეზი? რამდენიც გნებავთ, უტრანსპორტობა, მგზავრობის საშიშროება, კომუნიკაციების მოშლა, საერთო უმოქმედობა ყველგან და ყველაფერში... მაგრამ ცხოვრების ჩვეული რიტმი თავისით არ აღდგება თუ თითოეულმა არ შეიტანა საკუთარი წვლილი. რეგიონებთან ურთიერთკონტაქტების გაღრმავებისა და საქმიანობაში პრაქტიკული დახმარების გასაწევად, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები ამიერიდან სისტემატურად ეწვევიან რაიონებს. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ჯ. ბაგრატიონი, სამმართველოს უფროსები ნ. მესხი და ა. აბესაძე უკვე ჩავიდნენ მცხეთაში და „გორში.

მემკვიდრეობითობა საფრთხეშია

ბავშვთა სპორტი ჩვენში თანდათან გვეცლება ხელიდან — აღარ არის სათანადო დაფინანსება, განადგურდა ან სხვადასხვა გარემოებათა გამო აღარ მუშაობენ უმეტესი სპორტული ბაზები, იზრდება კადრების დენადობა. ყოველივე ეს გამოუსწორებელ საფრთხეს უქმნის ქართული სპორტის ტრადიციებს, მის ხვალინდელ დღეს, თაობათა მემკვიდრეობითობას. საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტში უკვე დაიწყო კონსულტაციები ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისათვის.

სპორტული ჟურნალისტი მიკროფონთან

...რეპორტაჟი მიჰყავდა ჯამლეტ ხუხაშვილს

19 წლისა იყო პერსპექტიულ ხელბურთელად რომ იცნობდნენ—სტუდენტთა თამაშების პრიზიორიც გახდა. ბავშვობიდან ჭიდაობდა, სიმძიმეებს წევდა და, როგორც ყველა • თბილისელი ბიჭი, ფეხბურთსაც თამაშობდა, ისმენდა ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის საფეხბურთო რეპორტაჟებს.

ერთ მშვენიერ დღეს იფიქრა, ეგებ მეც შევძლოო. თავისი მეგობრის შოთა შანიძესაგან ძველი მაგნიტოფონი ითხოვა და დაიწყო იმპროვიზებული ფეხბურთის რეპორტაჟების გადაცემა. თუ რა გამოსდიოდა, ახლა ძნელია განსაჯო, ერთი კი იყო —ყველა გადაცემას ასე ამთავრებდა: „რეპორტაჟი მიჰყავდა ჯამლეტ ხუხაშვილს“.

დღეს ეს სიტყვები ჩვენში უკვე აღარავის უკვირს—სამი ათეული წელიწადია გაისმის ეთერში. ხუმრობა არაა გაუძღვე ორი ათასზე მეტ რეპორტაჟს ფეხბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, წყალბურთში, ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, კრივში, ფრენბურთში, კარატეში და ა. შ.

ჯამლეტი თავის უშუალო მასწავლებლად კოტე მახარაძეს ასახელებს.

— ბატონ კოტეს ყველაფერში ვბაძავდი. ძალიან მომწონდა მისი რეპორტაჟების თავისებური, ორიგინალური მანერა, ტემპერამენტი, ერუდიცია, იუმორი, შესაშური მეხსიერება და, ასე ვთქვათ, კეთილშობილური ტონი მსმენელთა მიმართ.

თანდათან მოვიდა აღიარებაც. თავად განსაჯეთ: ჯამლეტის ერთ-ერთი საფეხბურთო რეპორტაჟი ტელევიზიით კოტე მახარაძის დამშეცდომით კოტეს რეპორტაჟად მიიჩნია.

— როდესაც ეს გავიგე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სწორედ იმ დღეს ვირწმუნე, რომ რეპორტაჟი შემძლებია.

ბედმა გაუღიმა. სტუდიაში უთხრეს, მომდევნო ფეხბურთის რეპორტაჟი ეროსი მანჯგალაძესთან ერთად მას უნდა წაეყვანა. ალბედა კომენტატორი უდიდესი მღელვარებით მიუჯდა მიკროფონს, რომელშიც ეს-ესაა თვით ეროსის ხმა გაისმა. თანდათანობით დაძლია მღელვარება, აეწყო ეროსის, მერე წლების განმავლობაში კოტე მახარაძესთანაც ერთობლივად მუშაობდა მიკროფონთან.

თავის საუკეთესო რეპორტაჟად 1979 წელს „ლივერპულთან“ ევროპის ჩემპიონთა თასზე თბილისში გამართული მატჩის გადაცემას მიიჩნევს, მაშინ დინამოელებმა ჯამლეტის რეპორტაჟს ბრწყინვალე თამაშთაც „შეუწყეს ხელი“, დიდი ანგარიშთაც გაიმარჯვეს.

ბევრი, ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოსულა სპორტულ ჟურნალისტიკაში, მიკროფონთანაც უცდია ბედი, მაგრამ მალე ხელი აუღია გატაცებაზე. ჯ. ხუხაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბოლომდე ერთგული დარჩა არჩევანისა. ამიტომაც არის მუდამ სასურველი კომენტატორი და მიმომხილველი რადიოსა თუ ტელევიზიაში, ამიტომაც არის, მის ხმას ხან „მაცნეში“ გაიგონებთ, ხან „პიკის საათში“, ხან „უტევანში“, ხან უკანასკნელი ცნობების გამოშვებაში.

ეგებ ყველამ არ იცის, რომ ჯამლეტ ხუხაშვილი სპორტულ კომენტატორობასთან ერთად საწვრთნელ საქმიანობასაც ეწევა —არის კალათბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრების უფროსი და თბილისის „მაკაბის“ მთავარი მწვრთნელი. ეს შემთხვევით როდია — ხუთ ათეულ წელს მიღწეული ჯ. ხუხაშვილი მეოთხე წელიწადია საქართველოში ებრაელთა სპორტულ-კულტურული საზოგადოება „მაკაბის“ ვიცე-პრეზიდენტია და დიდად უწყობს ხელს ამ ორი ხალხის კეთილი მეგობრობის ტრადიციათა გაღრმავებას, ერთგვარ ხიდად ევლინება მას.

ოთარ ნოზაძე

პასუხი უნდა ვაგოთ ერთობლივად

თორმეტწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის პოსტი კვლავ ჩაიბარა ბიძინა მაზიაშვილმა, რომელიც მანამდე, მთელი 20 წლის მანძილზე (1962-1982 წწ) ხელმძღვანელობდა, საკმაოდ უნარიანადაც, ჩვენს სპორტში ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან და გამორჩეულ გუნდს.

● ძველი ამბების გახსენება იქნებ არც გსიამოვნებთ?

— რა მნიშვნელობა აქვს ამას. თუ საქმემ მოითხოვა, მზად ვარ ყველა უსიამოვნო ფაქტი გავიხსენო ჩემი ცხოვრებიდან.

● როდის და რა პირობებში ჩაიბარეთ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი პირველად?

— იმ დიდიდან, როცა ჩვენი ძიუდო საერთაშორისო სარბიელზე გავიდა და სსრკ-ის ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა ევროპის პირველობაში (ესენი, 1962, წ. რედ.).

● ჩვენი მოჭიდავეები თუ იყვნენ იმ გუნდში?

— რა თქმა, უნდა იყვნენ,—ანზორ ქიბროწაშვილი და ანზორ კიკნაძე. თანაც, ორივე ჩემპიონი გახდა: ჯერ ქიბროწაშვილი ქვემძიმე წონაში და 15 წუთის შემდეგ კიკნაძე — აბსოლუტურ კატეგორიაში.

● ვინ ხელმძღვანელობდა მაშინ დიდ ნაკრებს?

— ბრწყინვალე სპეციალისტი და ორგანიზატორი, ძიუდოს დიდი მოამაგე, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება ვლადლენ ანდრეევი. სხვათა შორის, ამ კაცმა მწვრთნელთა მუშაობის შეფასების მიზნით შემოიღო საკმაოდ ორიგინალური სკალა, რომელიც ითვალისწინებდა ოლიმპიური ჩემპიონების, მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა პრიზიორების, აგრეთვე, სხვა დიდ შეჯიბრებებში გამარჯვებულ ათეულთა მომზადებას. ამ სკალის მიხედვით მე ორჯერ გავედი პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში მომუშავე მწვრთნელთა შორის.

● რომელ ძიუდოისტთა მომზადება ჩაგეთვალათ ამ სკალაში?

— ყველა ჩემი აღსაზრდელისა: ანზორ მარტყოფლიშვილის, გურამ გოგოლაურის, ჯიბილო ნიჟარაძის, გივი ონაშვილის, როინ ოდიშელიძის, აბდულა ბარკალაევის, აბესალომ წიკლაურის, ბიჭიკო მარიდაშვილის, გაიოზ ყაყიჩაშვილის...

● რა იყო მაშინ ნაკრებიდან თქვენი წასვლის მიზეზი?

— აი, რისი გახსენებაც არ მინდა. გეტყვით ზოგადად: იყო გაუგებრობაც და უსინდისო დამოკიდებულება ჩემს მიმართ...

● სულ ხომ არ წასულხართ სპორტიდან?

— ცხადია, არა. ვიყავი რიგითი მწვრთნელი „დინამოში“, ვმუშაობდი ჩემთვის, მშვიდად, ისე რომ, ხელს აღარ მიშლიდა ინტრიგები და ორი წლის შემდეგ მოვამზადე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მალხაზ ბერუაშვილი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ როგორი ბედნიერებაა, როცა შენს ოპონენტებს უმტკიცებ, რომ მუშაობა შეგიძლია.

● როგორც ნაკრების ახალი მწვრთნელი, როგორ აფასებთ ძიუდოში შექმნილ მდგომარეობას?

— შარშანდელ შედეგებს ვერ დავემდურები: ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მივიღეთ (ერთი — ვლადიმერ დგებუაძემ, ორი — დავით ხახალეიშვილმა), გვყავს მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორებიც (დავით ხახალეიშვილი — ორგზის და გიორგი ვაზაგაშვილი), მაგრამ პერსპექტივის თვალსაზრისით ეს არაფერს ნიშნავს. მეტიც, სრულფასოვანი რეზერვის უქონლობის გამო ძნელი სათქმელია გვეყოლება თუ არა ჩემპიონი ევროპის წლევანდელ პირველობაზე.

● რა არის საჭირო საიმისოდ, რომ მდგომარეობა უმოკლეს დროში გამოსწორდეს?

— ორიენტაცია უნდა ავიღოთ ახალგაზრდებზე. ეს იქნება ჩვენი სამოქმედო გეგმა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მომავალი ოლიმპიადისთვის გვყავდეს მონაწილე.

● კი მაგრამ, ეს განა ჩვენზე არ არის დამოკიდებული?

— აქამდე დიახაც ასე იყო, ამიერიდან კი ოლიმპიადაში მონაწილეობა სპორსტმენმა უნდა მოიპოვოს, თანაც უბრალო ტურნირებში კი არა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში კარგი გამოსვლით.

● როგორია ამ მხრივ ჩვენი პერსპექტივები?

— წლეულს ეწყობა ევროპისა და მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში. ამ ორი ტურნირის იმედი გვაქვს. ჩვენმა ახალგაზრდებმა აქ უნდა მიიღონ გამოცდილება. მეც, რაღა დაგიმალოთ, უნდა დავრწმუნდე მათს შესაძლებლობებში.

● რა არის საჭირო, რომ ძიუდო ხელახლა ფეხზე დავაყენოთ?

— პირველ რიგში უნდა ამაღლდეს დისციპლინა და პასუხისმგებლობა. ამ პოლიტიკური და ეკონომიკური ძნელედობის ჟამს ძიუდოს სატკივარი ყველამ გულთან ახლოს უნდა მივიტანოთ.

● კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— რას და ძიუდოს მთავარი დარბაზის მოწესრიგებას. საქართველოს ნაკრებმა უსათუოდ ცენტრალიზებულად უნდა ივარჯიშოს. ამის საშუალება კი გუნდს, ბოლო ორი წელია, არ გააჩნდა.

● როგორ აპირებთ ნაკრების დაკომპლექტებას და ვინ იმუშავებს მის წევრებთან?

— ამ მიზნით შეიქმნა მწვრთნელთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სპეციალისტები რაიონებიდან, ქალაქებიდან, სპორტსაზოგადოებებიდან და კლუბებიდან. ეს საბჭო პასუხისმგებელი იქნება დაკომპლექტების, მომზადების, შეჯიბრებაზე წაყვანისა და ა. შ. ერთი სიტყვით, საბჭო პასუხს აგებს ძიუდოისტთა შედეგებზე.

● მაშინ რა ფუნქცია რჩება ნაკრების უფროს მწვრთნელს?

— კოორდინაცია და კონტროლი მუშაობაზე. უფროსმა მწვრთნელმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ არც ერთი სპორტსმენი, მწვრთნელი, სპეციალისტი უსამართლოდ არ დაიჩაგროს.

● რა გზით აპირებთ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას?

— მხოლოდ კეთილი ხალხისა და ორგანიზაციების დახმარებით, იმის წყალობით, რასაც სპონსორობა ჰქვია. მოგიყვანთ ერთ მაგალითს: არის ასეთი კომპანია „ჯორჯიანტრანსოილი“, რომელსაც თავკაცობენ გენერალური დირექტორი ომარ ბაზიარი და მისი მოადგილე ზაალ ჟვანია. ამ კომპანიის სპონსორული მადლი საკუთარ თავზე გამოსცადეს მკლავჭიდელებმა, კალათბურთელებმა, მორაგბეებმა, ფეხბურთელებმა, ძიუდოს კლუბმა „რაინდებმა“... სპორტი რომ გადარჩეს, ასეთმა ხალხმა უნდა იდღეგრძელოს.

ვისაც გსურთ დაეხმაროთ ქართულ ძიუდოს, ეროვნულ ნაკრებს, ახალგაზრდა და პერსპექტიულ მოჭიდავეებს, უმორჩილესად გთხოვთ გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი პრობლემები და გამოგვიწოდოთ დახმარების ხელი. უურადღებისა და კეთილშობილებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის სახელით.

რეკვიზიტები:

კომერციული ბანკი „დია-ბანკი“. კორესპონდენტი ანგარიში — № 800161109, მფო — 520104, საქართველოს ეროვნული ბანკის ნაღდი ოპერაციო სამმართველო. ხავალუტო ანგარიში 701165062 — ამერიკული დოლარები, 702165062 — გერმანული მარკები.

ბოკლელ

კალათბურთი. რესპუბლიკის ჩემპიონატი ვაჟთა შორის. მეორე წრის ბოლო ტურის შედეგები: „ვითა“ — „თბილისი“ 78:76, „აზოტი“ — „შევარდენი“ 85:64, „დინამო“ — „მერანი“ 99:95, „კაქტუსი“ — „თორი“ 81:68. ამრიგად, შემდეგ ეტაპზე ისპარეზებენ „ვითა“, „თბილისი“, „კაქტუსი“, „თორი“, „დინამო“ და „აზოტი“.

რესპუბლიკის ჩემპიონატი ქალთა შორის. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2. „მეობა“ (ქუთაისი), 3. საქართველოს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი.

ძიუდო. ა. კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **46 კგ.** მ. მაგომედრაგიმოვი (აზერბაიჯანი), **50.** ბ. კოლიანი (ზესტაფონი), **55.** მ. მათიაშვილი (საგარეჯო), **60.** ზ. ზვიადაური (თბილისი), **65.** დ. ბზიშვილი (გორი), **71.** ბ. ჯუგაშვილი (ახმეტა), **78.** გ. გუგავა (თბილისი), **მძიმე** — ვ. სიფათიშვილი (ქუთაისი). მას გადაეცა ა. კიკნაძის სახელობის პრიზი.

თავისუფალი ჭიდაობა. რომში მიმდინარეობს ევროპის მორიგი ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ათეულთაგან პრესტიჟულ ფორუმში ასპარეზობენ დავით პოღოსიანი (62 კგ), ჯონდო მოდოსიანი (82 კგ), ელდარ კურტანიძე (90 კგ) და ლევან ებანოიძე (130 კგ). გუნდს თან ახლავს ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე.

ცხენოსნობა. ფირმა „მთიებმა“ და კოოპერატივმა „რაშმა“ დააფინანსეს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსპორტსკოლის ღია პირველობა. კონკურისტთა ასპარეზობაში „გახსნის პრიზზე“ უძლიერესი იყო ამ სკოლის წარმომადგენელი რევაზ გოცირიძე, მეორე ადგილი წილად ხვდა მის თანაგუნდელ როინ მარგიანს, მესამე — ზაზა ჩიტრეკაშვილს (საცხენოსნო ბაზა).

„სიჭაბუკის პრიზზე“ თავი ისახელა „რაშის“ მხედარმა აკაკი მახაშაძემ, რომელმაც ორი სხვადასხვა ცხენით I და II ადგილი დაიკავა. მესამე პრიზიორი გახდა საცხენოსნო სპორტსკოლის [illegible] ზურაბ დუნდუა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

I-X ადგილები

IV ტური, 29-30 მარტი

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2-1

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 0-3

„ბათუმი“ (ბათუმი) — „დინამო“ (თბილისი) 2-3

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2-1

„დილა“ (გორი) — „ივერია“ (ხაშური) 2-1

V ტური, 2-3 აპრილი

„ივერია“ (ხაშური) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 2-4

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „დილა“ (გორი) 2-1

„დინამო“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 5-0

„სამტრედია“ (სამტრედია) — „ბათუმი“ (ბათუმი) 2-0

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0-0

XI-XIX ადგილები

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3-0

„კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-2

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მრეტები“ (თბილისი) 3-1

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 8-0

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „კახეთი“ (თელავი) 2-1

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3-2

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0-0

მეორე ჯგუფი

II წრე, I ტური, 29-30 მარტი
აღმოსავლეთი ზონა

„მერანი-91“ (თბილისი) — „ანცი“ (თბილისი) 0-1

„თეთრი არწივი“ (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). „ბახტრიონი“ თამაშზე არ გამოცხადდა.

„შირაქი“ (დედოფლისწყაროა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0-3

„ნაფარეული“ (ნაფარეული) — „არმაზი-90“ (თბილისი) 1-3

„მესხეთი“ (ახალციხე) — „არმაზი“ (მცხეთა). მცხეთელთა გუნდი მძიმე ეკონომიკურ კრიზისშია, ფეხბურთელებს კარგა ხანია ხელფასი არ მიუღიათ, მოუგვარებელია ორგანიზაციული საკითხებიც, ამგვარ გამო მცხეთელები ვერ გაემგზავრნენ ახალციხეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა შესაძლოა „არმაზი“ მოხსნას გათამაშებიდან. რა პასუხს გასცემს მრავალრიცხოვან მცხეთელ გულშემატკივრებს მცხეთის რაიონის გამგეობა?

„თორი“ (ბორჯომი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1-1

„რკონი“ (კასპი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1-4

„ზოოვეტი“ (თბილისი) — „ბაჩო“ (თბილისი) 0-0

მსაჯებიც ჯარიმდებიან

გაამართა ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის სამდივნოს სხდომა, რომელზეც განიხილეს „უდისციპლინო“ და „დაბალი მოსწრების“ არბიტრების საკითხი.

იმის გამო, რომ ა. წერეთელმა 21 მარტს დაიგვიანა ეროვნული ჩემპიონატის მატჩზე სამტრედიაში, მას ერთი თვით აეკრძალა მსაჯობა და დაჯარიმდა 1,5 მილიონი კუპონით. გარდა ამისა, მას არ აუნაზღაურდება სამტრედიის მივლინება.

მსაჯებმა გ. ტაბატაძემ, მ. ჯულაიძემ, დ. მაღრაძემ და ტ. ადეიშვილმა დაბალი შეფასებები დაიმსახურეს მატჩის ინსპექტორებისგან, რის გამოც ისინი მხოლოდ კუთვნილი ჰონორარის 30 პროცენტს მიიღებენ.

პირველი მეოთხედფინალური მატჩები, 25-26 მარტი

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-1. მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), გ. ხეჩუაშვილი (კასპი), მ. ფოლადაშვილი (რუსთავი).

„შევარდენი-1906“: ჭანტურია, ელიოშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, რუსია (ქოჩლაძე), გოგიტაძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია, ჯანაშია; **„კოლხეთი-1913“:** დევაძე, მიქაბერიძე, კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, ცომაია, კიკლიაშვილი, მახარაძე, ჯუღელი, დარასელია, ჩხაიძე.

გოლები: ჯიშკარიანი, მახარაძე

გააფრთხილეს: მაჭავარიანი, ქუნთელია, კვიტატიანი, ქოჩლაძე.

გააძევეს ქოჩლაძე.

მეოთხედფინალში სწორედ ამ შეხვედრამ მიიპყრო სპეციალისტებისა და გულშემატკივრების უურადღება. ორივე გუნდს ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, გარდა ამისა, გვაინტერესებდა, თუ როგორ სპორტულ ფორმაში არიან ეროვნული და ოლიმპიური ნაკრებების კანდიდატები.

მატჩი, მართლაც, საინტერესოდ წარიმართა, შინაგანი დაძაბულობით გამოირჩეოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელები შეტევაში ძირითად იმედებს გოგიჩაიშვილსა და ჯანაშიაზე ამყარებდნენ, ხოლო ფოთელები მახარაძესა და ჯუღელზე. ბუნებრივია, მცველებმა მათ დიდი უურადღება დაუთმეს და ყველანაირი ხერხებით ცდილობდნენ სახიფათო ფორვარდების ნეიტრალიზებას. თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა თბილისელთა უმნიშვნელო უპირატესობა, რომლებიც შეხვედრის პირველივე ნახევარში გატანილი გოლის შემდეგაც (ჯიშკარიანმა ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა) მიიწევდნენ წინ, მაგრამ ფოთელი მცველები, მათ ხშირად ტოვებდნენ თამაშგარე მდგომარეობაში.

მეორე ნახევარში სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ, ეს განსაკუთრებით ითქმის ნახევარმცველებზე — კიკლიაშვილზე, დარასელიასა და მიქაბერიძეზე, შეტევებში სისტემატურად ერთვოდა ჩხაიძეც. სწორედ ამ უკანასკნელის მორიგი გარღვევის შემდეგ ფოთელებმა მიიღეს საჯარიმო დარტყმის უფლება, დარასელიამ მაღალი ბურთი დაკიდა მეტოქის კართან, აქ ყველას დასწრო მახარაძემ და თავური დარტყმით გაიტანა გოლი.

დარჩენილი მცირე დრო „შევარდენის“ ფეხბურთელებმა უფრო მეტად მსაჯთან ჯამათს მოანდომეს, რის გამოც ქოჩლაძე გააძევეს კიდეც მინდვრიდან. საბოლოოდ ფრე — 1-1.

თუ გავითვალისწინებთ, რომ განმეორებითი შეხვედრა ფოთში გაიმართება, ეს ანგარიში უფრო სტუმრების აქტივში უნდა ჩაითვალოს.

თამაშის დამთავრების შემდეგ „შევარდენის“ ზოგიერთი „ქომაგი“ შეეცადა ფიზიკურად გასწორებოდა მსაჯს და რომ არა შინაგანი ჯარების მუშაკთა და „შევარდენის“ ხელმძღვანელობის ენერგიული მოქმედება, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ყოველივე. თბილისელი გულშემატკივარი ყოველთვის გამოირჩეოდა ობიექტურობით და სულგრძელობით. მაშ რაღა დაგვემართა ახლა?

„ლელოს“ მიმომხილველის სუბიექტური აზრით, ამ შეხვედრაში მსაჯს, მართალია, ჰქონდა შეცდომები (მაგალითად, მას ორჯერ უნდა ეჩვენებინა წითელი ბარათი იმ მცველებისთვის, რომლებმაც მეკარესთან პირისპირ გასული თავდამსხმელები „მოცელეს“), მაგრამ მთლიანობაში მსაჯობა ობიექტური იყო. ქართველი გულშემატკივრები კი მიჩვეულები არიან, რომ არბიტრი ადგილობრივი გუნდის სასარგებლოდ წყვეტს ყოველგვარ საორჭოფო სიტუაციას...

„დინამო“ (თბილისი)—„სამგურალი“ (წყალტუბო) 11-0. მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ა. შილაკაძე და გ. ტაბატაძე (ორჯონიკიძე — თბილისი).

„დინამო“: ჩხეიძე, ბერაძე, კიკნაძე, ლობჟანიძე, ნემსაძე, რევიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული (ხუჯაძე), იაშვილი, აყველაშვილი (ნეფარიძე), ანჩაბაძე; **„სამგურალი“:** კიკალეიშვილი, მუშკუდიანი (გ. ჯანელიძე), თევზაძე, ჯანხოთელი, ვ. ფესტვენიძე, ლ. ფესტვენიძე, მაღლაკელიძე, იობიძე, ხურცილავა, გუბელაძე, ჯანაშია (ვ. ჯანელიძე).

„თეთრი არწივი“ (თბილისი — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-2. მსაჯები: რ. გარნოვსკი, ლ. მიქელაძე, თ. ასატურიანი (ყველა — ქ. ბორჯომი).

„თეთრი არწივი“: ჩხეიძე, ტეფნაძე (კალმახელიძე), ბ. ბაშვილი, მდივნიშვილი, ცქიფურიშვილი, ხოსროშვილი, კოჩაძე, ნადირაძე, ყოჩიაშვილი, შუბითიძე, ჭოლოკავა.

„მეტალურგი“: ქორიძე, მელაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობაიშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, ღუდუშაური, გახოკიძე, ალადაშვილი.

გოლები: ალადაშვილი, გახოკიძე, კალმახელიძე.

როგორც მოსალოდნელი იყო, არმიელთა გუნდმა, რომელსაც პირველი შეხვედრა 2 ბურთის სხვაობით ჰქონდა წაგებული, თავიდანვე მძაფრად შეუტია, მაგრამ შემდეგ რუსთაველებმა თანდათან გამოასწორეს თამაში, მეორე ნახევარში კი უმატეს ტემპს და თბილისელთა კართან რამდენიმე სახიფათო მოშენტი შექმნეს.

საბოლოოდ პირველი ჯგუფის გამოცდილმა ბინადარმა გაიმარჯვა, მაგრამ თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ტოლი არ დაუდეს მეტოქეს.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბათუმი“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 4-0, „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 5-4 (პენალტებით, ძირითადი დრო 1-1), „სამგურალი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (თბილისი) 3-1.

კენჭისყრით საქართველოს თასის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ბათუმი“ — „მეტალურგი“, „კოლხეთი-1913“ — „დინამო“.

* * *

ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ თბილისის „ანცი“ საშინაო მატჩებს გამართავს დედაქალაქის „სინათლის“ სტადიონზე (გურამიშვილის გამზირი № 85).

საქართველოს თასი

ფეხბურთის ამბები

● **იტალია.** ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა გაიმართა ძველ მეტოქეებს „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის. გაიმარჯვა „იუვენტუსმა“ — 1-0. ფრედ დამთავრდა ორი ცენტრალური მატჩი: „კრემონეზე“ — „სამპდორია“ (0-0), „მილანი“ — „პარმა“ (1-1).

კვლავინდებურად ლიდერობს „მილანი“. მომდევნო ადგილებზე არიან „იუვენტუსი“ და „სამპდორია“.

● **ბერმანია.** მიუნხენის „ბაიერნმა“ შინ მიიღო „კიოლნი“ და ძნელ ბრძოლაში გამარჯვებას მიაღწია — 1-0. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა „ლაიფციგისა“ და „აინტრახტის“ (ფრანკფურტი) შეხვედრა. გაიმარჯვა „ლაიფციგმა“.

ჩემპიონატს სათავეში უდგას „ბაიერნი“.

ის საოცარი ფეხბურთი „ლინფილდთან...“

თავისი სახელგანთქმული მოგვარის — ლეგენდარული ნინო დუმბაძესავით ახოვანია, წარმოსადეგი. მაგრამ მარტო ამით როდი გამოირჩევა მწვანე მინდორზე: სწრაფია, მოქნილი, შესანიშნავად თამაშობს თავით, გოლის გატანის განსაკუთრებული ალღო აქვს...

— ძველი სოხუმელია ჩემსავით, მერე სანკტ-პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად, თბილისის „ანცში“ მესამე სეზონია თამაშობს. ნიჭიერი, შრომისმოყვარე ფეხბურთელია, ტაქტიკურად საკმაოდ მომწიფებული, „ანცი“ მთელ თამაშს მასზე აგებს, თანაც ანდრეი ჩვენი გუნდის მთავარი ბომბარდირია. — გვეუბნება „ანცის“ უფროსი მწვრთნელი, დამსახურებული მწვრთნელი ანატოლი ნორაკიძე.

...როგორც ყველა სოხუმელს, ბავშვობიდან მასაც ძალიან უყვარდა ზღვა და ფეხბურთი. პლაჟზე თანატოლებთან ერთად ბურთს დასდევდა, მოზრდილთა ფეხბურთსაც უცქერდა საათობით. მერე ოჯახი ნევისპირა ქალაქში — დედის სამშობლოში გადავიდა საცხოვრებლად. მკვირცხლმა ბიჭუნამ, გაუთავებლად რომ დარბოდა და დატრიალდა ეზოში, თანაკლასელებთან ერთად სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ მძლეოსნობის სკოლას მიაკითხა. ამ სკოლას ცნობილი სპეციალისტი, ჩემპიონთა და რეკორდსმენთა გულისხმიერი აღმზრდელი ვიქტორ ალექსეევი ედგა სათავეში. 11 წლის ბიჭუნა მოეწონა მწვრთნელ ვალერი ნაზაროვს. ანდრეი უმცროსთა ჯგუფში ჩარიცხეს. ეაბუკი იმთავითვე ოცნებობდა დამსგავსებოდა ვიქტორ სანეევსა და ვალერი ბორზოვს. 1978 წელ[illegible] ქალაქის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა სიგრძეზე ხტომაში ჭაბუკთა შორის — 7 მეტრი და 9 სანტიმეტრი. პირველთანრიგოსან მძლეოსანს კარგად გამოსდიოდა სპრინტიც: 100 მეტრი (10,9), 200 მეტრი (22,7).

— მაგრამ, მერწმუნეთ, სულ ერთთავად მაინც ფეხბურთზე ვფიქრობდი, მატჩი არ გამიცდენია ძველ თუ ახალ სტადიონზე, — ეიმება ჩვენი რედაქციის სტუმარს. — ბიჭებს ძალიან მოგვწონდა ვლადიმერ გუცაევი, მანუჩარ მაჩაიძე, ოლეგ ბლოხინი, ლევ ბურჩალკინი, ვლადიმერ კაზაჩონოკი, აი დავით ყიფიანზე კი პირდაპირ ვგიჟდებოდით. ცხადია, „ზენიტში“ თამაშზე ვოცნებობდით, ხოლო თბილისის „დინამოში“ მოხვედრა ზეოცნებად მესახებოდა.

ადგილობრივ პედინსტიტუტში ჩაბარა მისაღები გამოცდები ფიზიკაზრდის ფაკულტეტზე. მწვრთნელმა გიორგი ვიუნმა ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდში ჩარმცხა, ცენტრალურ თავდამსხმელად გამოჰყავდა. ქალაქის პირველობაზე ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: ანდრეიმ საკმაოდ ბევრი ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში.

მერე ჯარში გაიწვიეს, მურმანსკში. იქაც მიაგნო ფეხბურთის გუნდს „სევერს“, რომელიც სსრკ პირველობაზე თამაშობდა მეორე ლიგაში. სამი წლის შემდეგ პეტერბურგში დაბრუნებული, „დინამოს“ საკლუბო გუნდში ჩარიცხეს. მერე მთელი ოთხი სეზონი კალუგის „ზარიაში“ დაპყო — ისიც მეორე ლიგაში გამოდიოდა. კვლავ [illegible] ბრუნდა ნევისპირეთში, ახლა [illegible] ლობრივ არმიელთა გუნდში დაიწყო თამაში.

...მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ ტურნირზე, რომელშიც თბილისის „ანციც“ გამოდიოდა, პეტერბურგელებმა ფრედ (2-2) ითამაშეს ქართველ ფეხბურთელებთან. „ანცის“ მწვრთნელს გაიოზ დარსაძეს ძალიან მოეწონა დუმბაძე და თბილისში, მათ გუნდში გადმოსვლა შესთავაზა. ახალგაზრდას არც უყოყმანია — თბილისში თამაში ანდრეის დიდი ხნის ოცნება იყო. ნიჭიერი, თავმდაბალი სანკტ-პეტერბურგელი ფეხბურთელი გულთბილად მიიღეს გუნდში. ყველას დაუმეგობრდა, კმაყოფილებით შ[illegible]

დგა ვარჯიშსა და თამაშს, კვლავინდებურად გაჰქონდა ბურთები. დღეს „ანცი“ მისი გარკვეული მცდელობით მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება ლიდერს — „თეთრ არწივს“, რომელსაც 14 აპრილს ხვდება „სინათლის“ სტადიონზე.

— დიდი სურვილი გვაქვს ფეხბურთელებსაც და მწვრთნელებსაც უმაღლეს ლიგაში გადავიდეთ. ბევრს ზრუნავს გუნდზე ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ კიკალიშვილი. კარგი გუნდი გვყავს. დღეისთვის „ანცში“ საქართველოს ნაკრების ორი კანდიდატი თამაშობს — ნახევარმცველი თემურ კაპისაშვილი და მცველი ვახტანგ ხვადაგიანი, ხოლო ოთხნი რესპუბლიკის ოლიმპიურ ნაკრებშია — მცველი ზვიად პაპიძე, თავდამსხმელი ლევსო მარგიანი, ნახევარმცველები გურამ ასპინძელაშვილი და ზვიად ჯილაძე — ჩემი შობლიური სოხუმის „ცხუმიდან“. ძალიან მომენატრა სოხუმი, რომლის განთავისუფლ[illegible] მეც მოუთმენლად მოველი. [illegible]ად შემიყვარდა თბილისიც, მო[illegible]ადავად ასეთი საყოველთაო გაპი[illegible]ებისა. დასანანია, რომ თამაშებზე [illegible]ღეს ცოტა მაყურებელი [illegible]დის. პირადად მე არ ვაცდენ „დინამოს“ მატჩებს. განსაკუთრებით მომწონდა იგი, როდესაც თამაშობდნენ ძმები ალველაძეები, ქინქლაძე, შელია და სხვანი. ჩანს, არ ჩამკვდარა ქართული ფეხბურთი სსრკ ჩემპიონატიდან გამოსვლის შემდეგაც, ოღონდ, ეტყობა, საჭიროა რაღაც „გამღიზიანებელი“ ფაქტორი, დავუშვათ, ევროპის ჩემპიონთა თასზე, ირლანდიის „ლინფილდთან“ რომ იყო. გახსენებაზე: ერთმა ჩემმა მეგობარმა ტელეეკრანიდან ვიდეოფირზე ჩაწერა ეს მატჩი. ფირს სანკტ-პეტერბურგში წავიღებ და ჩემს მეგობარ ფეხბურთელებს ვაჩვენებ — აი როგორ უნდა დიდი ფეხბურთის თამაში.

ოთარ ნოზაძე

* * *

სურათზე: „ანცი“—„მერანის“ ამასწინანდელი მატჩი. უტევს ანდრეი დუმბაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

29-30 მარტს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების შეხვედრები.

ჩემპიონთა ლიგა

„ა“ ჯგუფი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 0-0, „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „გალათასარაი“ (თურქეთი) 3-0.

„ბარსელონა“	5	3	2	0	12—3	8
„მონაკო“	5	3	1	1	9—3	7
„სპარტაკი“	5	0	3	2	4—11	3
„გალათასარაი“	5	0	2	3	0—8	2

„ბ“ ჯგუფი. „მილანი“ (იტალია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 0-0, „ვერდერი“ (გერმანია) — „პორტუ“ (პორტუგალია) 0-5.

„მილანი“	5	2	3	0	6—1	7
„პორტუ“	5	3	0	2	10—6	6
„ანდერლეხტი“	5	1	2	2	4—7	4
„ვერდერი“	5	1	1	3	9—14	3

თასების მფლობელთა თასი

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „პარმა“ (იტალია) 2-1, „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „არსენალი“ (ინგლისი) 1-1.

უეფას თასი

„კალიარი“ (ბელგია) — „ინტერი“ (იტალია) 3-2, „კიზინო“ (ავსტრია) — „კარლსრუე“ (გერმანია) 0-0.

საპასუხო შეხვედრები გაიმართება 12-13 აპრილს.

გაილეთ მოწყალება... ქართული სპორტისთვის

ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში დამკვიდრებულმა მიძმე თბოენერგოკრიზისმა ყველაზე უფრო სპორტის საწყლოსნო სახეობებს დაატყო ხელი. ახლა ცივ აუზებში სრული იდუმალება სუფევს, იქიდან კარგა ხანია პირწმინდად აილაგმნენ მოცურავეები და წყალბურთელები, წყალში მხტომელები, და სინქრონული მოცურავეები. ნუთუ ყველაფერი დამთავრდა და ამაზე დავიწყებასაც მიეცემა ეს ულამაზესი სახეობები და საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ წარმატებებზე, რითაც თავი მოგვქონდა, მხოლოდ მოგონებაღა დარჩება?

ამ კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს გივი ცქიტიშვილს.

— ასეთი უიმედობის საფუძველი, ალბათ, არის, — თქვა ვიცეპრეზიდენტმა, — ვინაიდან დღეს ჩვენი უსახსრობა და საწვრთნელი ბაზების მდგომარეობა ნულს უტოლდება, მომავალიც ბურუსითაა მოცული, მაგრამ სულ ახლახანს, რომ იტყვიან, გამოკრთა იმედის სხივი და ეს გულმხურვალე ადამიანების, კერძოდ, რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის უფროსის ბატონ ზურაბ ჭანკოტაძის, მისი მოადგილის ბატონ ჯემალ კახიანის, ავიაკომპანია „ორბის“ გენერალური დირექტორის ბატონ ვასილ ჯიმბაზიშვილის, კონცერნ „კოლტერონის“ პრეზიდენტ კობა ჯიბლაშვილის, აგრეთვე ფირმა „ტოპ-ტორის“ პრეზიდენტ გრიგოლ კვარაცხელიას დამსახურებაა.

მათ ხელი გამოგვიწოდეს და დააფინანსეს ჩვენი სინქრონული ცურვის გუნდი, რომელმაც ამას წინათ მოსკოვში იასპარეზა ჟურნალ „ენშჩინა მირას“ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. იტალიის, ჩინეთის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უძლიერეს სპორტსმენებს შორის, წარმატება ხვდათ ალიონა კულიბერდასა და ხათუნა გოცირიძის („შევარდენი“) დუეტს. მათ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს წყვილთა გამოსვლებში, ა. კულიბერდამ ასეთივე წარმატებას მიაღწია ერთეულთა ასპარეზობაში.

ჩვენი გოგონები ახლა კვლავ მოსკოვში არიან საწვრთნელ შეკრებაზე და ემზადებიან რუსეთის ღია ჩემპიონატში (ელექტროსტალი) გამოსასვლელად.

უწყლობის გამო მოსკოვს შეაფარეს თავი საქართველოს მოცურავეთა და წყალში მხტომელთა ნაკრებებმა, რომლებიც ისევ და ისევ ზემოთ დასახელებულმა კეთილმა ადამიანებმა დააფინანსეს. ეს გუნდები მალე ფინეთის თასის გათამაშებაში ჩაებმებიან.

⊙ უფრო დიდი შეჯიბრება თუ ელით ჩვენს სპორტსმენებს?

— როგორ არა, ივლისში ევროპის „სინქრონისტები“ მოსკოვში გაითამაშებენ უძლიერესის სახელს, იმავე დღეებში ჩეხეთის ქალაქი პარდუბიცე უმასპინძლებს მსგავს ასპარეზობას წყალში ხტომასა და ცურვაში. მზადება ამ მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობებისთვის ისევ და ისევ სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის, „ორბისა“ და „ერქვანის“ მხარეში ამოდგომით მიმდინარეობს და, რა თქმა უნდა, დიდად მადლიერი ვართ სპორტის ასეთი ქომაგებისა. ისინი რომ მხარეში არ ამოგვდგომოდნენ, ამ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე ვერც ვიოცნებებდით. სწორედ ასეთი კეთილი ადამიანები გვისახავენ იმედს, რომ საქართველოს სპორტს ჩაძირვა არ უწერია.

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

1974 წელი. გერმანია

ტოტალური ფეხბურთის დაბადება

70-იან წლებში საერთაშორისო ფეხბურთში დიდი ცვლილებები მოხდა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დაწყების წინ გაიმართა ფიფას მორიგი კონგრესი, რომელზეც პრეზიდენტად აირჩიეს ბრაზილიელი ბიზნესმენი ჟოაო აველანჟი. შეიცვალა ფინალური სტადიის ჩატარების სისტემა, ჯგუფური ტურნირების შემდეგ 8 გუნდი ქმნიდა ორ ჯგუფს, რომლებშიც გამარჯვებულები ფინალურ მატჩში იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო მეორე ადგილზე გასული გუნდები ბრინჯაოს მედლებს [illegible] ერთმანეთს.

1971 წლის [illegible]ში ფიფას სპეციალურმა [illegible]ომ განიხილა ახალი პრიზის 53 პროექტი, არჩევანი შეჩერდა მილანელი იუველირის სილვიო გაცანიგის ნახელავზე, რომელსაც „ფიფას მსოფლიო თასი“ ეწოდა. თასი დამზადებულია სუფთა ოქროსაგან (წონა — 4970 გრამი, სიმაღლე — 36 სანტიმეტრი). პრიზი მუდმივ მფლობელობაში არ გადაეცემა, გამარჯვებულ გუნდს [illegible] თასის ზუსტი ასლი.

უმატა კიდევ 4 და სათავეში ჩაუდგა მსოფლიო ჩემპიონატების ბომბარდირთა სიას. ამ ჩემპიონატით დაიწყო ფეხბურთში ახალი ეპოქა.

ფინალი: გფრ—ჰოლანდია 2-1 (2-1). მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი“. 7 ივლისი. 75. 200 მაყურებელი. მსაჯი ქ. ტეილორი (ინგლისი).

გფრ: მაიერი, ფოგთსი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, ჰაინესი, ბონჰოფი, ოვერატი, გრაბოვსკი, მიულერი, ჰოლცენბაინი.

ჰოლანდია: იონგბლადი, სურბიერი, ჰაანი, რიისბერგენი (დე იონგი), კროლი, იანსენი, ნეესკენსი, ვან ჰანეგემი, რეპი, კრუიფი, რენსენბრინკი (რ. ვან დე კერკჰოფი).

გოლები: ნეესკენსი (2 წთ. პენალტით), ბრაიტნერი (25, პენალტით), გ. მიულერი (43).

ჰეთ-თრიკი შეასრულა ორმა ფეხბურთელმა —ბაეზიჩმა (იუგოსლავია) და შარმახმა (პოლონეთი). ჩემპიონატს მოემსახურა 28 ქვეყნის 30 მსაჯი.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი — ჰელმუტ შიონი.

მიხეილ საბახტარიშვილი



[illegible]ზეები იყო მისი შთაგ[illegible] წყარო.

ვახტანგ მარსაგიშვილს, როგორც შესანიშნავ ორგანიზატორს, არასოდეს წაივიწყებენ სახელმწიფო ვაჭრობისა და ცეკავშირის, ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს თანამშრომლები, სადაც მან სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმუშავა.

40 დღის წინ, 80 წლისა წავიდა იგი ჩვენგან, წავიდა და დაგვიტოვა ნათელი კვალი და მაგალითი თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი, ტანვარჯიშის ფედერაცია

ხსოვნა

ვახტანგ მარსაგიშვილი

სპორტი და ხელოვნება უძველესი ხნიდან განუყრელად მოაბიჯებენ და ბედნიერია ის, ვინც ორივე ცხოვრების მიზნად დაისახა. ვახტანგ მარსაგიშვილი ქართული სპორტის ძველი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ და ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული სპორტთან ერთად ხელოვნებას მიუძღვნა თავისი შინაარსიანი ცხოვრება — სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის განხრით. დიდხანს პირნათლად ემსახურა მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას — მისი შეგირდები წარმატებით გამოდიოდნენ სპარტაკიადებსა თუ ფესტივალებში, თავისი წვლილი შეიტანა 1947 წელს მოსკოვში ფიზკულტურელთა აღლუმისა და სტუდენტთა VI საკავშირო ფესტივალის მომზადებაში, ღირსეულად დაიმსახურა დიპლომები, არაერთგზის დაჯილდოდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, საპატიო ჯილდოები დაუმსახურებია მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსებში, მშობლიურ ქვეყნისა და თბილისის პატიოსანი მოქალაქეები იყო მისი შთაგ[illegible] წყარო.

ვალერიან ალექსიძე — ბორტნიკოვი

41 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა მოკრივეთა აღმზრდელი, სპორტის ოსტატი ვალერიან ბორტნიკოვი. იგი მამის, ცნობილი მწვრთნელის ალექსი ბორტნიკოვის ხელმძღვანელობით ეზიარა სპორტის ამ სახეობას. 1968-1974 წლებში იყო ხაჭართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, 1968-1970 წლებში ფლობდა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ჩემპიონის სახელს, 1973 წელს კი ხაკავშირო თასის გათამაშებაში მესამე პრიზიორი გახდა. იყო საკავშირო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული. 1974-1982 წლებში მწვრთნელად მუშაობდა „შრომით რეზერვებში“, ხოლო 1983 წლიდან — სპორტსაზოგადოება „მართვეს“ ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში, სადაც მისი ხელმძღვანელობით არაერთი ოსტატი აღიზარდა.

გულსხმიერი აღმზრდელისა და კარგი სპეციალისტის ვალერიან ბორტნიკოვის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მოწაფეებსა და კოლეგებს შორის.

საქართველოს კრივის ფედერაცია,

„მართვეს“ ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლა.

ბლიცსაც კარგად თამაშობს

რომ საჭადრაკო კომპიუტერები მეტად მომძლავრდნენ და ხანდახან დიდოსტატებსაც კი ამარცხებენ, ეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ნაკლებად ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ისინი, თურმე ნუ იტყვით, ბლიცსაც (აქ მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად ხომ სულ 5 წუთი ეძლევა) კარგად თამაშობენ.

არგენტინელი დიდოსტატი მიგელ კინტეროსი ბლიცის დიდი მოყვარულია და ამგვარ ჭადრაკში თვით რობერტ ფიშერსაც კი არაერთგზის შეხვედრია, ბერლინში ყოფნისას მას თხოვეს რამდენიმე ასეთი პარტია კომპიუტერ „მეფისტოსთანაც“ ეთამაშა. კინტეროსი ასეთ წინადადებას ჯერ ირონიულად მოეკიდა: კომპიუტერი რა არის და მისი ბლიცი რაღა უნდა იყოსო! შემდეგ ცნობისმოყვარეობამ წასძლია და დათანხმდა: ხუთ პარტიას ზედიზედ რომ მოვუგებ, შემდეგ ხომ „ჩამომეხსნებაო“.

კინტეროსისა და „მეფისტოს“ ძატჩი 4 საათს გაგრძელდა. „მეფისტო“ თითქმის მთელი ორთაბრძოლის მანძილზე წინ იყო, მაგრამ არგენტინელმა დიდოსტატმა ბოლოს რის ვაივაგლახით გაათანაბრა ანგარიში — 12:12. ამის შემდეგ მან, ცხადია, „მეფისტოს“ ხელოვნებაზე აზრი შეიცვალა. და, რა თქმა უნდა, არა მარტო მან...

გივი თხინვალელი

ფეხბურთის ამბები

● **ესპანეთი.** „ბარსელონამ“ სტუმრად ძნელ გამარჯვებას მიაღწია „ლერიდასთან“ მატჩში — 2-1, ხოლო მადრიდის „რეალმა“, აგრეთვე სტუმრად, წააგო „სელტასთან“ 2-3.

ლიდერობს „დეპორტივო“ (ლა-კორუნია) — 45 ქულა. „ბარსელონა“ ჩამორჩება 2 ქულით, „რეალი“ — სამით.

● **საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ სტუმრად „ლანსთან“ გამარჯვების მერე (2-1) კვლავ გათამაშების ცხრილის სათავეშია.

● **საქართველოს** უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე მინიფეხბურთში წარმატებას მიაღწია ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი ე. გუგუშვილი), რომელმაც ჯერ კიდევ შეჯიბრების დამთავრებამდე გაინაღდა პირველობა.

რა ხდება ქვეყანაზე

● **კალგარი.** აქ გამართულ მოცურეთა საერთაშორისო ტურნირზე, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი გამოიჩინეს ოლიმპიელებმა. ლილეჰამერის ორგზის ოქროსმედალისანმა, ამერიკელმა ბონი ბლეირმა (ოლიმპიადაზე პირველი იყო 500 და 1000-მეტრიან დისტანციებზე). 500 მეტრზე სრიალში მან თავის მსოფლიო რეკორდს 11 მეასედი წამი „ჩამოაჭრა“. თავი გამოიჩინა გერმანელმა გუნდა ნიმანმაც, რომლისგანაც ლილეჰამერში გაცილებით მეტს ელოდნენ (ოლიმპიადაზე გერმანელმა მოცურეთმ მხოლოდ ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა), მაგრამ იმის გამო, რომ ადრინდელი ტრავმა ბოლომდე არ ჰქონდა მოშუშებული, თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. აი კალგარში კი 10 მეასედი წამით გააუმჯობესა თავისი მსოფლიო რეკორდი 5000 მეტრზე სრიალში.

● **ნიუ-იორკი.** როგორც არაერთხელ ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გულშოდგინედ ემზადებიან ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატისთვის თავდაუზოგავად ემზადებიან ტურნირისთვის ფეხბურთელებიც. გაიმართა აშშ-სა და ბოლივიის ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელზეც ფრედ დამთავრდა — 2-2.

● **ოქსფორდისა** და კემბრიჯის ნიჩბოსანთა ტრადიციულ რეგატას ტემზაზე არც მეტი, არც ნაკლები, 175 წლის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე ბრიტანეთის ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენები 140-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ბოლო 16 სეზონის მანძილზე წარმატებას უცვლელად ოქსფორდის ნიჩბოსნები აღწევდნენ. წლიულს ეს ტრადიცია დაირღვა — კემბრიჯელებმა მოიგეს რეგატა და საერთო ანგარიშში დაწინაურდნენ ორი რბოლით — 71:69. მიმომხილველები კემბრიჯის გუნდის წარმატებას იმით ხსნიან, რომ მიმდინარე სეზონში მის შემადგენლობას ორი ძლიერი გერმანელი ნიჩბოსანი დაემატა. ისინი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები არიან.

● **ცნობილი** გერმანელი ფიგურისტის კატერინა ვიტის მცდელობა, დაბრუნებულიყო დიდ სპორტში, კრახით დამთავრდა. მაგრამ ოლიმპიადისა და მსოფლიოს ექსჩემპიონმა იხტიბარი არ გაიტეხა. ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ფულის გაკეთების ბევრი სხვა საშუალებაც არსებობს. ვიტი, როგორც ჩანს, ისევ პროფესიულ რევიუს დაუბრუნდება.

● **პოლიციამ** დააკავა ვინმე სერგეი პავლოვსკი, რომელიც თავის დროზე დაეხმარა ჰოკეისტ ალექსანდრე მოგილნის აშშ-ში კონტრაქტის გაფორმებასა და გამგზავრებაში. ახლა ს. პავლოვსკი უკვე ფეხზე დამდგარ სპორტსმენს 150 ათას დოლარს სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰოკეისტს ტერორით ემუქრება.

რა ხდება ქვეყანაზე

საქართველოს კრივის ფედერაცია და „მართვეს“ ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი

ვალერიან ალექსიძე ძე ბორტნიკოვი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი და კალათბურთის ფედერაცია ხამძიმარს უცხადებენ წარსულში ცნობილ კალათბურთელს რეზო გოგელიას მეუღლის

ვერიკო ჩხიკვაძე—გოგელიას

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე